ოქმი:**ო135. 13525090001**
თარიღი:**31/03/2025**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-3

დ. მესტია 28.03. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, ლ. ქალდანი. რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> თ. დადეშქელიანი, მ .გელოვანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u>ბ. კვიციანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, გ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ვ, ფილფანი. ლ. პაკელიანი, შ. ცინდელიანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, შ. გულედანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ი. გაბლიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სმსახურის უფროსი სპეციალისტი ვ. გულედანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის განყოფილების უფროსი ლ. მჭედლიანი;

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.
სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 32 წევრიდან 18 წევრი.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:
1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში - მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი; თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი/

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ი. ღვახლიანი; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

4. ,,ა(ა)იპ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: გ. ფალიანი; თანამომხსენებელი მ. ხორგუანი/

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/მომხსენებელი:ვ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ.მჭედლიანი; თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------18
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებრვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-გ-135. 135250901**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში - მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.
მომხსენებელმა პროექტის განხილვა დაიწყო ბიუჯეტის შემოსავლებით, გასულ წელს ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 37 831.00 ლარს, გეგმა 37 693.92ლარს. წარმოადგინა ბიუჯეტის შედარება შემოსულობების და გადასახდელების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან ერთად. ისაუბრა 2024 წელს მესტიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტებზე და

გრანტის მიზნობრიობაზე.
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხებოდა 2221.58 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 745.35 ათასი ლარი შეაგდენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ ტრანსფერებს, ხოლო 1476.23 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდან ნარჩენ თანხას. აღნიშნული თანხები გაწერილი იქნა 2024 წლის ბიუჯეტის დაზუსტების დროს დაგეგმილ ღონისძიებებსა და აღებული ვალდებულებების შესაბამისად.
2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხებოდა 2637.020 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 1055.274 ათასი ლარი შეაგდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებს, ხოლო 1581.746 ათასი ლარი საკუთარი სახსრები თანხა.
2024 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მოხმარდა, მესტიის მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზიანებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას და მოვლა-შენახვას.
აგრეთვე ისაუბრა მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულებაზე და ნაშთებზე. აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ყველა **შემოსულობა** და **გადასახდელი** სრულდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა საკითხი, დადებითად შეფასდა და მადლობა გადაუხადა ჩატარებული სამუშაოებისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში - მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № - გ-135. 135250872 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. გაბლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო შიდა აუდიტორული საქმიანობის გეგმა-შესრულების ანალიზი. სამსახურმა 2024 წელს განახორციელა:

1. საფინანსო სამსახურის საქიანობის წარმოაების შესაბამისობის აუდიტი;

2. ა(ა)იპ- მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიენების ეფექტიანობის აუდიტი.

სამსახურის მიზანს წარმოადგენდა შეესწავლა საფინანსო სამსახურის სამუშაო პროეცესი, გამოევლინა არსებული რისკები და დაედგინა თუ რამდენად ადეკვატურად და ეფექტიანად მუშაობს აღნიშნუული სისტემა და რა წვლილი შეაქვს არსებული მიზნების მიღწევაში.

შეეფასებინა ა(ა)იპ- მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიენების სქმიანობის ეფექტურობა, არის თუ არა უზრუნველყოფილი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი ხარისხის ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომოგა მუნიციპალიტეტისთვის. დარღვევებზე გაიცა

შესაბამისი რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ვ. ჭკადუამ -- იკითხა საბავშვო დაწესებულებაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში როგორ ხდება რეკომენდაციების მიცემა.

ი. გაბლიანი-- ა(ა)იპ- მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მუშაობს ხაევეზების გამოსწორებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250873 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელმა გააცნო კომისიის თავმჯდომარების მიერ მოწოდებული სამუშაო გეგმა, სთხოვა დამსწრე საზოგადოებას აქტიურად ჩაერთონ საქმიანობაში

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135. 135250594 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ნავერიანმა ,,ა(ა)იპ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მომხსენებელმა პოვერპოინტის ფორმით წარმოადგინა ანგარიში. ა.(ა.)ი.პ. მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის 12 თვის გეგმა - 1050000 ლარი, ათვისება 1013660.82 ლარი. მათ შორის სხვაობა 36339.18 ლ. გამოწვეულია შემდეგი ფაქტორით 2024 წლის საახალწლო კონცერტი 29999 ლარი, დეკემბრის თვის ელ ენერგიის ხარჯი 5854 ლ, გადარიცხულია 2025 წლის იანვრიში და თებერვალში ელ.ენერგია. ნაშთი წლის ბოლოს 486.18 ლარი. ისაუბრა გაწეულ ხარჯებზე და ღონისძიებებში დახარჯულ თანხებზე. (ანგარიში თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა-- კომისიამ განიხილა საკითხი, მიიღო

დასმულ შეკითხვებზე პასუხი, მადლობა გადაუხადა ჩატარებულ საქმიანობაზე.

მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,ა(ა)იპ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(**განკარგულება № გ-135. 135250876** თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მომართვა, სადაც ითხოვს სარგებლობის უფლებით, შენობა-ნაგებობის კულტურული დაწესებულებებისთვის გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250875 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. მჭედლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.
მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობა კრებებზე თანხმდება სოფლის საჭიროებებზე და ამ პროგრამის დახმარებით ხდება სამუშაოების შესყიდვა/წარმოება. დღეის მდგომარეობით წამოყენებულია 160 საპროექტო წინადადება. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ყველაზე ხშირად ფინანსდება შიდა სასოფლო გზები, შიდა განათება, შემოღობვა, წყაროების მოპირკეთება, სკვერების მოწყობა, მინი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ყველა ტერიტორიულ ერთეულში ჩატარებული კრების ოქმები პოვერ პოინტის ფორმით, ოქმებში ჩანიშნულია აგრეთვე **დამატებით დასმული მოთხოვნები.**
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანი--კომისიამ განიხილა საკითხი, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში საკრებულოს წევრები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტების

დაგეგმვაში, შეკითხვებიც არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------17

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250877 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი